



ენერგოეფექტურობა – ეკონომიკური

ზრდისა და მდგრადი განვითარებისთვის

ენერგოეფექტურობა საჯარო სექტორსა და მრეწველობაში

ენერგოეფექტურობა საშუალებას გვაძლევს ნაკლები ენერჯის დანახარჯით მივიღოთ მაქსიმალური ეკონომიკური და სოციალური შედეგი. ერთი შეხედვით, რესურსის დაზოგვა შეიძლება უმნიშვნელო აქტივობად მოგვეჩვენოს, თუმცა მისი გავლენა მასშტაბურია - ის აისახება პლანეტის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე, ადამიანის კეთილდღეობაზე და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაზე.

რესურსების გონივრული გამოყენება: შენობების დათბუნება, თანამედროვე განათების სისტემების დანერგვა, ტექნოლოგიების განახლება და ინფორმირებული ეკონომია, მკვეთრად ამცირებს ენერჯის ხარჯს. ეს კი პირდაპირ იწვევს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებისა და სითბური აირების ემისიების შემცირებას. შესაბამისად, ტექნიკური გადაიარაღება ერთდროულად ითვალისწინებს გარემოს დაცვას და ზრდის საწარმოების კონკურენტუნარიანობას. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული საწარმოსთვის, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერისთვის.

ტექნიკური ბაღიაკალბის ეფექტი: ნაკლები დანახარჯი უკეთესი შედეგი



ენერჯის მოხმარების შემცირება
თანამედროვე ტექნიკა საწარმოო პროცესში ნაკლებ ენერჯიას მოიხმარს



თვითღირებულების კლება
ენერჯის დაზოგვა პირდაპირ ამცირებს პროდუქციის საწარმოო დანახარჯებს



გარემოსდაცვითი სარგებელი
ენერჯის მოხმარების კლებასთან ერთად მცირდება სათბური აირების გაფრქვევა



კონკურენტუნარიანობის ზრდა
ენერგოეფექტურობა აძლიერებს როგორც საწარმოს ასევე ქვეყნის ეკონომიკას

ენერგოეფექტურობა მრეწველობაში: კონკურენტუნარიანობის ზრდის საწინდარი

მრეწველობა ენერჯის ერთ-ერთი უმსხვილესი მომხმარებელია. ამ სექტორში ენერგოეფექტურობის დანერგვა გადამწყვეტ როლს თამაშობს საწარმოების ხარჯების შემცირებაში და მათი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდაში. მოძველებული აღჭურვილობის შეცვლასთან ერთად, არსებობს არაერთი მიმართულება, რომლითაც შესაძლებელია ენერჯის დაზოგვა: თბოიზოლაცია და ჰერმეტიკობა, წარმოების პროცესების ოპტიმიზაცია, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ავტომატიზაცია. ენერგეტიკული მენეჯმენტის სისტემების დანერგვა საშუალებას აძლევს საწარმოებს, მუდმივად აკონტროლონ, გაანალიზონ და გააუმჯობესონ ენერჯის მოხმარება.

ამ ინიციატივების ხელშეწყობისთვის აუცილებელია სახელმწიფო სუბსიდიები და ცნობიერების ამაღლების კამპანიები, როგორც საჯარო სექტორში, ასევე მრეწველობაში. ეს საბოლოოდ საქართველოს ეკონომიკურ კეთილდღეობასა და მდგრად განვითარებას ემსახურება.


ენერგოეფექტურობა საჯარო სექტორში: სახელმწიფო ხარჯების შემცირება და მომსახურების გაუმჯობესება

საჯარო შენობები - სკოლები, საავადმყოფოები, ადმინისტრაციული დაწესებულებები - ენერჯის მნიშვნელოვანი მომხმარებლები არიან. მათი ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება პირდაპირ აისახება სახელმწიფო ხარჯების შემცირებაზე და მოქალაქეებისთვის გაუმჯობესებულ მომსახურებაზე. აქაც არსებობს არაერთი ეფექტური გადამწყვეტილება:

აქაც მნიშვნელოვანია განათების სისტემების მოდერნიზაცია - მოძველებული განათების სისტემების LED ტექნოლოგიებით ჩანაცვლება, მოძრაობის სენსორების და განათების ავტომატური მართვის სისტემების დანერგვა; გათბობა-გაგრილების სისტემების ოპტიმიზაცია - ცენტრალური გათბობისა და გაგრილების სისტემების მოდერნიზაცია, თბოიზოლაციის გაუმჯობესება, თერმოსტატებისა და პროგრამირებადი კონტროლერების გამოყენება; შენობების ავტომატიზაცია, შენობის მართვის ინტეგრირებული სისტემები. ეს საშუალებას იძლევა, ავტომატურად გაკონტროლდეს და ოპტიმიზდეს განათება, გათბობა, გაგრილება და ვენტილაცია, რაც ენერჯის მნიშვნელოვან დაზოგვას უზრუნველყოფს.

საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება

სკოლები, საავადმყოფოები, ადმინისტრაციული დაწესებულებები - ენერჯის მნიშვნელოვანი მომხმარებლები



საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ენერგოეფექტურობის პრინციპების დანერგვას არა მხოლოდ საცხოვრებელ სექტორში, არამედ საჯარო შენობებსა და მრეწველობაშიც. ამ სექტორებში ენერჯის ოპტიმიზაცია ხელს უწყობს სახელმწიფო ბიუჯეტის დაზოგვას, სანარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდას და ქვეყნის საერთო ეკონომიკურ მდგრადობას.

ენერჯის დაზოგვა – ეს არ არის მხოლოდ ეკონომიკური გათვლა, ეს არის ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა მომავალი თაობების წინაშე, პლანეტის ჯანმრთელობისა და ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის.

ენერჯის დაზოგვა – ჩვენი საერთო პასუხისმგებლობაა!

დაზოგე ენერჯია და ფული: შენი სახლის გზამკვლევი

საქართველოში საცხოვრებელი ფართების დიდი ნაწილი მოქვეყნებულია და არ შესაბამისა ენერგოეფექტურობის თანამედროვე სტანდარტებს. შენობის თბოიზოლაციითა და ტექნიკის განახლებით შესაძლებელია ენერჯის მოხმარების, გადასახადებისა და გარემოზე ზეგავლენის მნიშვნელოვანი შემცირება.

შეაჩერე სითბოს კარგა იზოლაციით

კედლების, სახურავისა და იატაკის იზოლაცია ინარჩუნებს სითბოს ზამთარში და სიფრთხეს ზაფხულში.

შეცალე ძველი ფანჯრები ენერგოეფექტური

ორმაგი ან სამმაგი მინაპაკეტი მკვთრად ამყარებს სითბოს დანაკარგს.

განახლე გათბობის სისტემა

თანამედროვე ტექნიკა და კონდიციონერები მნიშვნელოვნად ზოგავს ენერჯის.

ნყარო: www.asocireba.ge
www.greenalt.org

ინარჩუნე შენს სახლში პროგრამით ენერგოეფექტური ღირებულებები შენთვის ნაკლებ ზეგავლენას მოახდინებს.

აირჩიე A+++ კლასის ტექნიკა

რატომ არის ენერგოეფექტურობა ქვეყნისთვის სტრატეგიული პრიორიტეტი?

- ამცირებს დამოკიდებულებას:** პირდაპირ ამცირებს დამოკიდებულებას იმპორტირებულ ნიადასეულ საწვავზე (ბუნებრივი აირი, ნავთობი, ნავთობპროდუქტები).
- ზრდის ენერგოსაფრთხოებას:** ნაკლები იმპორტი ნიშნავს მეტ კონტროლს საკუთარ ენერგეტიკულ მომავალზე.
- აძლიერებს კონკურენტუნარიანობას:** ენერჯის დაზოგვით მიღწეული დაბალი დანახარჯები ქვეყნის ეკონომიკას უფრო კონკურენტუნარიანს ხდის.

სექტორი	ენერგოეფექტურობის ღონისძიება	მოსალოდნელი შედეგი	ენერჯის დაზოგვის პოტენციალი (%)	გავლენა ელექტროუსაფრთხოებაზე	საჯარო რესურსი ან ცვლილება
მშენებლობა	შენობა-ნაგებობების დათბუნება	ენერჯის დანაკარგების შემცირება და ენერგომომხმარებლის კლება	მინიმუმ 40%	ამცირებს იმპორტირებულ საწვავზე დამოკიდებულებას და ანაცვლებს ახალი გენერაციის ობიექტების საჭიროებას	საჭიროა უფრო ამბიციური მიზნების დასახვა ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებულ გეგმაში და ფინანსების მიმართვა დათბუნებისკენ
ტრანსპორტი	საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა	კერძო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობისა და საწვავის მოხმარების შემცირება	_____	ამცირებს იმპორტირებულ ნიადასეულ საწვავზე (ნავთობპროდუქტები) დამოკიდებულებას	ინვესტიციების მიმართვა საზოგადოებრივი მობილობის გაზრდაზე ნაცვლად მსხვილი ინფრასტრუქტურისა
მრეწველობა	სანარმოების ტექნიკური გადაიარაღება	ენერჯის მოხმარების შემცირება, სითბური აირის გაფრქვევის კლება და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება	_____	ზრდის ქვეყნის ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას და ამცირებს რესურსების იმპორტს	ტექნოლოგიური მოდერნიზაციის სტიმულირება და ენერგოეფექტურობის დირექტივებთან რეალური დაახლოება
საყოფაცხოვრებო/განათება	განათების სისტემების ჩანაცვლება LED ტექნოლოგიებით	ენერჯის მოხმარების რამდენჯერმე შემცირება	_____	ამცირებს ელექტროენერჯიაზე მოთხოვნას პიკურ პერიოდში	ენერგოეფექტური ტექნოლოგიების პოპულარიზაცია და შესაბამისი სტანდარტების დანერგვა